10-14 მაისი, 1994 წ.
№14 (10882) ● ფასი 30 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გაბაასება ოქროს მედლებთან

ფირმა „ბაასის" საქველმოქმედო ნუსხა კიდევ ერთი წვლილით შეივსო და ამ წვლილთანაა დაკავშირებული ჩვენი მკლავჭიდელების ახალი წარმატება საერთაშორისო სარბიელზე. „ოქროს დათვი" – ასე ეწოდება ტრადიციულ ასპარეზობას, რომელიც ...ხლახანს გაიმართა მოსკოვში. ქართველი ...თლეტებიდან მარცხენა ხელით ასპარეზო...აში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბი...ისელმა გია ხაჩიძემ (60 კგ.) და სახჩერე...ლმა კობა თოდაძემ (90). თოდაძეს კიდევ ერთი მედალი ხვდა, ამჯერად ვერცხლისა – მარჯვენა ხელით პაექრობაში. მძიმე წონაში ზაურ ცხადაძე მეორე იყო. ზაურმა ამერიკელ მკლავჭიდელთან ჯონ ბჟესკისთან შერკინებაში დათმო პირველობა.

ოქროს მედლებით გუნდური ადგილები ასე განაწილდა: რუსეთი – 3, აშშ – 3, საქართველო – 2, კანადა – 1, ფინეთი – 1.

## ფაქსი უეფადან

უეფამ საქართველოს ფეხბურთის თხოვნის საპასუხოდ გამოგზავნა ფაქსი, რომ... ...ქვამია, რომ თბილისმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მასპინძლობის ...ფლება შეიძლება მიიღოს იმ შემთხვევაში თუ თბილისში ამ გათამაშების დაწყებამდე ორი თვით ადრე, ე. ი. 7 ივლისამდე, შინ ჩავატარებთ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას, უეფას ყველა მოთხოვნათა შესაბამისად დასავლეთ ევროპის რომელიმე რანგის ან პირველი დივიზიონის გუნდთან. ამ მატჩს დაესწრებიან უეფას წარმომადგენლები და საბოლოო დასკვნასაც შემდეგ გააკეთებენ.

## SOS  მსაჯი სცემეს, რისთვის?

5 მაისს, თბილისის „სინათლის" სტა...დიონზე ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის „ანცი" და ახალციხის „მესხეთი".

მატჩის მთავარი მსაჯი, ფიფას არბიტრი თემურ მაჭარაძე: შეხვედრის ბოლო წუთი დაიწყო თუ არა, ორივე გუნდის კაპიტანი გავაფრთხილე, რომ რჩებოდა ერთი წუთი. ამ მომენტში სტუმრებმა შეცვალეს მოთამაშე, რაზედაც ...ორო არ გაჭიანურებულა, წამმზომი არ გამომირთავს. მატჩი დამთავრდა. ის იყო გვერდით მსაჯებთან ერთად ვტოვებდით მოედანს, რომ ტრიბუნიდან მომესმა ლა...ნძღვა-გინება ჩემი მისამართით. გასახდელისაკენ მიმავალს, ჯერ ისევ მოედანზე, წამომეწია, როგორც შემდეგ გავა...კვეე „ანცის" ვიცე-პრეზიდენტი, რო...მელმაც დამიწყო გინება, მედავებოდა ...ითქოს მატჩი ადრე დავამთავრე და იქვე ხელითაც შემეხო ტანსაცმელზე. ამის შემდეგ უმალვე წამომესივნენ მის გვერდით მდგომნი და მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ისევ „ანცის" ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა მიხსნეს, თუმცა ინციდენტი გასახდელშიც გაგრძელდა. კომისრის, კარლო ყრუაშვილის და გვერდითი მსაჯების წამმზომების ჩემს წამმზომთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ დრო არ გადამიცილე...ბი ორივე გუნდის ხელმძღვანელებმა ...ლობა გადამიხადეს კეთილსინდისიერი მსაჯობისთვის. მას შემდეგ, რაც ყველ... დარწმუნდა ჩემს ობიექტურობაში, საშუალება მომეცა წავსულიყავი სტადიონიდან და მომხდარის თაობაზე დაუყოვნებლივ ვაცნობე მსაჯთა ასოციაციის ხელმძღვანელობას.

## მიხაროდეს! კალათბურთი სპორტის სასახლეში

თბილისის სპორტის სასახლეს კარგა ხანია არ უმასპინძლია კალათბურთელთა მატჩებისათვის, რაც სულაც არ იყო გამოწვეული სასახლის დირექციის მიზეზით, უბრალოდ, ამხელა დარბაზში, ცარიელი ტრიბუნების წინ, თამაში არავის სურდა. საქართველოს ჩემპიონატმა კი კვლავ მოიზიდა გულშემატკივრები, რომლებსაც მცირე დარბაზი ველარ იტევდა. და აი, ფედერაციამ გადაწყვიტა ვაჟთა შორის ეროვნული ჩემპიონატის უძლიერესი ექვსეულის პირველი ფინალური შეხვედრები სპორტის სასახლეში გადაეტანა. გთავაზობთ უკვე გამართული შეხვედრების შედეგებს: „ვითა" — „აზოტი" 100:81; „კაქტუსი" — „თორსი" 105:78; „თბილისი" — დინამო" 101:78; „თბილისი" — „აზოტი" 103:80; „კაქტუსი" — დინამო" 100:96; „ვითა" — „თორსი" 96:61; „ვითა" — „დინამო" 94:84; „თბილისი" — „კაქტუსი" 83:72; „აზოტი" — „თორსი" 81:64; „ვითა" — „თბილისი" 105:80; „დინამო" — „თორსი" [illegible]5:76; „კაქტუსი" — „აზოტი" 108:88.



## ახალგაზრდობა მაინც სჯობია

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 1994 წლის ჩემპიონატის მონაწილეებს ერთბაშად რამდენიმე პრობლემა უნდა დაეწყვიტათ: მთავარი, რა თქმა უნდა, უძლიერესის გამოვლენა იყო, რომელი ეროვნულ ნაკრებში მონაწილეობის კანდიდატად ჩაითვლებოდა; პირველად დაწესდა საერთაშორისო ოსტატის ბალის ნორმა — 10 ქულა; როგორ მზადყოფნაში არიან ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ, რომელიც ჩვეულებრივ ზაფხულში მიმდინარეობს ხოლმე.

სტარტზე ბრწყინვალედ ითამაშა ინგა ხურცილავამ, რომელმაც ზედიზედ 5 პარტია მოიგო, ბევრნი ამ მომენტში მასში საქართველოს ახალ ჩემპიონს ხედავდნენ. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდა.

მომდევნო 4 ტურში ინგამ სულ... ნახევარი ქულა მოაგროვა, ამასობაში კი ყოველი შეხვედრის შემდეგ იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას ნათია ჯანჯღავა და მირანდა ხორავა, რომლებიც სტაბილურად და ძლიერად თამაშობდნენ. ამ დუეტს მალე ნატო ეძგვერაძეც შეუერთდა, მან ერთობ უღ...რული სტარტის შემდეგ ძლიერად ... წყო თამაში და ზედიზედ იმარჯვებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯანჯღავასა და ხორავას პირად შეხვედრას, სადაც ჯანჯღავამ გაიმარჯვა. ფაქტობრივად სწორედ ამან გადაწყვიტა კიდეც პირველი ადგილის ბედი, იგი პირველად მოიპოვა ოსტატმა ნათია ჯანჯღავამ: 12 ქულა 15-დან დაუმარცხებლად, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე შედეგია. ჯანჯღავა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს თეორიულ დავას, იგი წმინდა წყლის პრაქტიკოსია, რომელიც წარმატებით წყვეტს კონკრეტულ ამოცანებს. ჯანჯღავა 21 წლისაა და სათანადო მომზადების წყალობით მისგან კიდევ უკეთეს მიღწევებს უნდა ველოდოთ.

11,5 ქულით მეორე ადგილზე გასული ნატო ეძგვერაძე სოლიდური თეორიული მომზადებითა და სატურნირო მებრძოლის კარგი თვისებებით გამოირჩევა. ასევე კარგი მებრძოლია ნორჩი მოჭადრაკე მირანდა ხორავა (მესამე ადგილი 11 ქულით), რომელიც მთელი წლის განმავლობაში სისტემატურად თამაშობს და მაღალ შედეგებს აღწევს.

ქების ღირსნი არიან, აგრეთვე, მაია ლომინეიშვილი (მეოთხე ადგილი 10,5 ქულით), სოფიკო ნიკოლაძე და ფინიშზე „გამოსწორებული" ინგა ხურცილავა (10-10 ქულა). სამივე მათგანმა საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

და კიდევ ერთი: საქართველოს ჩემპიონატში გამოცდილი ოსტატების დიდი ჯგუფი მონაწილეობდა, მაგრამ ახალგაზრდა მოჭადრაკეებთან ბრძოლა მათ ძალიან გაუჭირდათ.

**გივი გამრეკელი**

სურათზე: ნათია ჯანჯღავა.

პირველი, პირველმა, პირველად...

## რეკორდი ნაშუაღამევს

რობერტ შავლაყაძე პირველი ოლიმპიური ჩემპიონია, რომელმაც დაამხო ამერიკელთა ჰეგემონია სიმაღლეზე ხტომაში. ყოველ შემთხვევაში, რომის XVII ოლიმპიურ თამაშებამდე (1960 წ). აშშ-ის მძლეოსნებმა ორად-ორჯერ დათმეს ჩემპიონის ტიტული ამ სახეობაში და ორჯერვე სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან. პირველად ეს მოხდა 1932 წელს ლოს-ანჯელესის თამაშებში (ოქროს მედალი ხვდა ამერიკული წარმოშობის კანადელს დანკან მაკ-ნოტონს), მეორედ — 1948 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე (ჩემპიონი გახდა ავსტრალიაში მცხოვრები ამერიკელი ჯონ უინტერი).



რობერტ შავლაყაძე

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში ...ლერი კლარკია. 1896 წელს ათენის ...თამაშებში მან 181 სანტიმეტრი დასძლია. 2-მეტრიანი ზღვარი ოლიმპიურ თამაშებში პირველმა კორნელიუს ჯონსონმა გადალახა — 203 სმ. (1936 წელს). რაც შეეხება რობერტ შავლაყაძეს, მან ოლიმპიური ჩემპიონობა ჩამოართვა ჩარლზ დიუმას, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა 1956 წელს მელბურნში (XVI ოლიმპიადა) 212 სანტიმეტრით.

ახლა უფრო დეტალურად შავლაყაძის რომაულ წარმატებაზე. ოლიმპიური ტურნირი სიმაღლეზე ხტომაში რომის „ფორო. იტალიკოზე" დაიწყო 1960 წლის 1 სექტემბერს ზუსტად 15 საათსა და 15 წუთზე და დამთავრდა ნაშუაღამევს, როცა იმ დღის პროგრამა ყველა ბაზაზე უკვე ამოწურული იყო.

ფავორიტებად მიჩნეული იყვნენ – ამერიკელები: ჯონ თომასი და ჩარლზ დიუმასი, შვედი სიგვარდ პეტერსონი და სამი საბჭოთა მძლეოსანი — რობერტ შავლაყაძე, ვალერი ბრუმელი და ვიქტორ ბოლშოვი. საკლასიფიკაციო ხტომების შემდეგ დაიწყო ფინალური ასპარეზობა, რომელშიც 12 მხტომელი მონაწილეობდა.

190 სმ პეტერსონმა დასძლია პირველი ცდით. დანარჩენებმა გამოტოვეს სიმაღლე.

195 სმ. ბრუმელმა და ბოლშოვმა ასევე პირველსავე ცდაზე დასძლიეს სიმაღლე.

200 სმ. თომასი, პეტერსონი და დიუმასი ადვილად გადაევლენ თამასას პირველსავე ცდაზე. შავლაყაძემ პირველი ნახტომი გააფუჭა და მხოლოდ მეორე გამოიყენა.

203 სმ. ოთხი სპორტსმენი სძლევს ამ სიმაღლეს პირველივე ცდით — შავლაყაძე, ბრუმელი, ბოლშოვი, დიუმასი.

206 სმ. პეტერსონს დასჭირდა სამი ...ცდა. შავლაყაძეს, ბრუმელს, თომასსა და ბოლშოვს მხოლოდ ერთი. დიუმასმა სიმაღლე გამოტოვა.

209 სმ. დიუმასმა დასტოვა სარბიელი — სამივე ცდა გააფუჭა და 203 სანტიმეტრით VI ადგილი დაიკავა. პეტერსონმა სიმაღლე დასძლია მესამე ცდაზე, ბრუმელმა — მეორეზე. შავლაყაძეს, თომასსა და ბოლშოვს თითო ნახტომი ეყოთ.

212 სმ. ასპარეზობას გამოეთიშა პეტერსონი — 209 სანტიმეტრით იგი V ადგილზე დარჩა. ბრუმელმა სიმაღლე მესამე ცდაზე დასძლია, შავლაყაძემ და ბოლშოვმა — პირველზე. თომასმა სიმაღლე გამოტოვა.

214 სმ. დარჩა მხოლოდ ოთხი მონაწილე. შავლაყაძეს სიმაღლის დასაძლევად ერთი ნახტომი დასჭირდა, ბრუმელს, თომასსა და ბოლშოვს — ორორი.

216 სმ. ბოლშოვმა და თომასმა სამივე ნახტომი გააფუჭეს და ბრძოლა შეწყვიტეს. თომასი მესამე ადგილზე დარჩა, ბოლშოვი —მეოთხეზე (ორივეს ერთნაირი შედეგი ჰქონდა — 214 სმ). შავლაყაძემ სიმაღლე პირველსავე ცდაზე დასძლია, ბრუმელმა — მეორეზე.

218 სმ. ვერც შავლაყაძემ და ვერც ბრუმელმა ვერ აიღეს სიმაღლე. შავლაყაძე 216 სმ-ით ჩემპიონად გამოცხადდა, ბრუმელს კი ვერცხლის მედალი ერგო.



## აირტონ სენა — ლეგენდის დასასრული

ტრაგიკულად დაიწყო „ფორმულა-1-ის" წლევანდელი გათამაშება: სან-მარინოს გრან პრიმ (ჩემპიონატის III ეტაპი) მოულოდნელად იმსხვერპლა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1988, 90,91) და ორგზის ვიცეჩემპიონი (1989, 93). ამ პოპულარული ავტომრბოლის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფავორიტი, ბრაზილიელი აირტონ სენა და სილვა — კაცი ლეგენდა, რომელმაც 1984 წლის 25 მარტის შემდეგ 161 გრან პრიში მიიღო მონაწილეობა და მათგან 41 მოიგო. როგორც უცხოეთის სააგენტოები აღნიშნავენ ეს უდიდესი დანაკლისია არა მარტო „ფორმულა-1-ისთვის", არამედ მთელი მსოფლიო სპორტისთვის.

## გამოთხოვება ნ. ენდელაძესთან

3 მაისს ჩვენმა ხალხმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე.

სპორტის დეპარტამენტის შენობის ვრცელ ფოიეში დასვენებულ ცხედართან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სპორტული სამყაროს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

წინადადება

## ნ. ენდელაძის სახელის უკვდავსაყოფად

ნ. ენდელაძის მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო სამშობლოს და ხალხის უანგარო სამსახურთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ახლო წარსულში საქართველოს სპორტული მოძრაობის აღმავლობასთან, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე ჩვენი ქვეყნის ათლეტთა მიერ მოპოვებულ თვალსაჩინო წარმატებებთან, სპორტული ბაზების ქსელის სრულ ამოქმედებასა და გაფართოებასთან. შემოვდივართ წინადადებით, ნ. ენდელაძის სახელი მიენიჭოს ი. ჭავჭავაძის გამზირის მონაკვეთს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიდან ბაგებამდე. გარდა ინსტიტუტისა, სწორედ ამ მონაკვეთზეა თავმოყრილი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტები: ფალავანთა კლუბი, ძიუდოს დარბაზი, 26 მაისის სახელობის სტადიონი, დახურული საცურაო აუზი, მძლეოსნობის მანეჟი, ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზები, სპორტსმენთა სასტუმრო, ჩოგბურთის კორტები, თვით სპორტის დეპარტამენტის შენობა, ფიზკულტურის დისპანსერი, ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სპორტული დანიშნულების სხვა ობიექტები. ზოგიერთი მათგანი ნ. ენდელაძის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეობის პერიოდში დაპროექტდა, აიგო, ან კეთილმოეწყო. აქვე მუშაობენ სპორტის სახეობათა ფედერაციები. ვფიქრობთ, ამ წინადადებას ზემოხსენებული ორგანიზაციებიც მხარს დაუჭერენ.

**„ლელოს" რედაქცია**

## ულოცავენ ჯემალ ცერცვაძეს

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია და ჯანმრთელობის დაცვის კომისია დაბადებიდან 55 წლისთავს ულოცავენ ლეგენდარულ ქართველ ხელბურთელს ჯემალ ცერცვაძეს.

XXX

ვ. გოგუაძე, ვ. რჩეულიშვილი, ბ. ხურციძე, თ. გაზდელიანი, ა. ასათიანი, გ. შარაშიძე, დ. სალარიძე, ჯ. ბაგრატიონი, ი. ღვაჯაძე, ა. ექსეულიძე, მ. სხიერელი, ა. ...იკაბიძე დაბადების დღეს ულოცავენ მსოფლიო ხელბურთის განუმეორებელ ფენომენს და მშვენებას, შესანიშნავ პიროვნებას და უერთგულეს მეგობარს ჯემალ ცერცვაძეს.

XXX

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ხელბურთის ნამდვილ ჯადოქარს, სეოკის თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს ჯემალ ცერცვაძეს.

XXX

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ხელბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ხელბურთში ჯემალ ცერცვაძეს.

XXX

გაზეთ „ლელოს" რედაქცია უერთდება მილოცვებს, მრავალჟამიერ დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს სახიქადულო სპორტსმენს და ჭეშმარიტ მოქალაქეს — ჯემალ ცერცვაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

# დაიხსომეთ ეს გვარი: ნიკო ბეგაშვილი!

ეს ტურნირი, რომელსაც მაზანდარის ოლქის (ირანი) მთავარი ქალაქი მუჰამადბადი მასპინძლობდა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშია შეტანილი და 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის (თავისუფალი სტილი) ერთ-ერთ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება. ახლახან დამთავრებულ ასპარეზობაში მასპინძლები ექვსი გუნდით გამოდიოდნენ, მათთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და საქართველოს (13 კაცით) მოჭიდავეები. გუნდური პირველობა მასპინძლებმა არავის დაუთმეს და ეს გასაგებიცაა ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ირანის ნაკრები ამ ასაკში ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონად ითვლება, რომელსაც შემადგენლობაში ჰყავს ოთხი უმაღლესი ტიტულის მქონე მოჭიდავე და მეორეც, ექვსი გუნდით ასპარეზობა ერთ ტურნირში თავისთავად წარმატების უტყუარ გარანტიას იძლევა. საქართველოს მოჭიდავეები გუნდურ მეორე ადგილზე გავიდნენ, აზერბაიჯანელებს კი მესამე ადგილი ხვდათ. ამას გარდა, ჩვენმა ათლეტებმა პირად ჩათვლაში ერთი პირველი, ორი - მეორე და ხუთი მესამე ადგილი დაიკავეს.

რამდენიმე სიტყვა გამარჯვებულზე. 85 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ნიკო ბეგაშვილი (თბილისი, „მართვე") უდავოდ ნიჭიერი მოჭიდავეა, რომელსაც სპეციალისტები, არც თუ უსაფუძვლოდ, თვით ლევან თედიაშვილს ადარებენ. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს ამ ასაკში ყველა მონაცემი აქვს გააგრძელოს ქართველ ფალავანთა სასახელო ტრადიციები. სხვათა შორის, ნიკო ერთხმად აღიარეს ამ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსის მსმენელი დინჯი, დაკვირვებული, უაღრესად შრომისმოყვარე და პატიოსანი ახალგაზრდაა, რაც ერთი-ორად ამშვენებს მის სპორტულ ღირსებებს. ბეგაშვილმა ირანში ხუთი შეხვედრა ჩაატარა. ოთხი წმინდად მოიგო, ერთი — ქულებით და ტურნირის მთავარი პრიზიც დაიმსახურა.

II საპრიზო ადგილები დაიკავეს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა გოჩა ჩიხრაძემ („შევარდენი", გორი) და ცნობილი ქართველი მოჭიდავის ნოდარ მოდებაძის ვაჟიშვილმა არჩილმა („მართვე", თბილისი). პირველი 88 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მეორე კი მამის მსგავსად — მძიმეში.

მესამე საპრიზო ადგილი, როგორც უკვე ვთქვით, ხუთმა მოჭიდავემ დაისაკუთრა. ესენი არიან: 46 კგ — გიორგი იანტბელიძე („მართვე", თბილისი), 54 კგ — ბესიკ ცინაძე („შევარდენი", ქუთაისი) — შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, 58 კგ — კახაბერ დობორჯგინიძე („შევარდენი", თბილისი) — ასევე წარსულში ცნობილი მოჭიდავის როინ დობორჯგინიძის ვაჟიშვილი, 63 კგ — გიორგი ხარებავა (ლტოლვილი გაგრიდან, „მართვე") და ლევან ბარსონიძე („შევარდენი", თბილისი).

დღევანდელ უაღრესად რთულ ეკონომიკურ ვითარებაში, მოჭიდავეთა ხშირ საერთაშორისო კონტაქტებზე საუბარი, ცხადია, უაზრობაა. არადა, ოსტატობის ამაღლება ასეთი კონტაქტების გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ ჩვენ უთუოდ ხელს გვაძლევს ისეთ ქვეყნებთან მეზობლობა, როგორიც ირანი და თურქეთია. ირანულებმა, მაგალითად, მონაწილეობა რომ მიგვეღო ამ ტურნირში, საზღვარზე დაგვახვედრეს ავტობუსი, ღირსეული მასპინძლობა გაგვიწიეს და იმავე ავტობუსით საზღვრამდე მოგვაცილეს. ძირითადი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ამხანაგური შეხვედრა მოეწყო ქალაქ ნატეჰის მოჭიდავეებთან, რომელიც ფრედ დამთავრდა (5:5). აქ გამარჯვებები მოიპოვეს: არჩილ მოდებაძემ, ნიკო ბეგაშვილმა, გოჩა ჩიხრაძემ, ბესიკ ცინაძემ და შოთა ხუროშვილმა („შევარდენი", თბილისი).

წლეულს აგვისტოს, ბუდაპეშტში ამ ასაკის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ეწყობა. ჩვენი ფალავნები, ბუნებრივია, აპირებენ იქ გამგზავრებას, თუ, რა თქმა უნდა, ფული იშოვნეს. მწვრთნელთა აზრით ქართველ მოჭიდავეებს მსოფლიოს ჩემპიონატში სულ ცოტა 3 მედლის მოპოვება შეუძლიათ.

# X საიუბილეო

რა მასშტაბისაც უნდა იყოს მოკრივეთა შეჯიბრება ჩვენში, მაყურებელი მას არ აკლია. ამ მხრივ არც დავით კვაჭაძის სახელობის ჭაბუკთა ტრადიციულ X საერთაშორისო ტურნირს ელქმის სამღურავი — „მართვეს" დარბაზი კრივის მოყვარულებით იყო სავსე. გულნაკლულობის მიზეზი სხვა რამ გახლდათ: შეჯიბრების დაწყებამდე, ერთი საათით ადრეც კი იყო იმის იმედი, რომ ტურნირში მონაწილეობას მიიღებდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები, მაგრამ...

ლოკალური ხასიათის მიუხედავად, ტურნირი საკმაოდ მასობრივი გამოდგა და, რაც მთავარია, დაძაბული შეხვედრებითაც გამოირჩეოდა. დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად ფოთში, თელავში, რუსთავში, ბორჯომში, ქუთაისში არ განელებულა კრივში მუშაობა და სწორედ მათი წარმომადგენლები ტონს აძლევდნენ ასპარეზობას. მათგან უნდა ითქვას თელაველ ბესიკ ქავთარაშვილის (40 კგ.), ფოთელების ზურაბ შუბლაძის (38 კგ.), სოსო მაჭაძის (46), კახაბერ ლუსიანის (50 კგ.) შესახებ, რომლებმაც ღირსეული გამარჯვებები მოიპოვეს ფინალში, ამასთან, თელაველი ჭაბუკი ყარგა ხანს ლიდერობდა სპეციალური პრიზისათვის დავაში — საუკეთესო ტექნიკისთვის. მაგრამ საბოლოოდ ეს ჯილდო თბილისელ ოთარ ნავაძეს (57) ერგო, რომელმაც ფინალური შეხვედრის მეორე რაუნდში წმინდად სძლია ქუთაისელ ჰამლეტ ბალანჩივაძეს. მათ გარდა ტურნირის გამარჯვებულები აგრეთვე გახდნენ: დავით კარაპეტიანი (44 კგ), ემილ მანუკიანი (48 კგ), სპარტაკ ლაზარაშვილი (59 კგ) — ყველა თბილისელი, გიორგი მინაძე (54), გოდერძი გამგონეიშვილი (60) — ორივე ქუთაისელი, კახაბერ ზებურია (63) — ფოთი, ნოდარ გიორხელიძე (70) — ქუთაისი.

შუშანა ჭიჭინაძე

გასული საუკუნის პრესა წერდა...

# ჭიდაობა საქველმოქმედო მიზნით

წარსულ კვირას, 9 ნოემბერს, დ. ყვირილაში იყო ჩვენგან გამართული ჭიდაობა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ბ-ნ ჯინორიძის სასარგებლოდ. ამ ჭიდაობის სრული შემოსავალი იყო 45 მანათი და 46 კ. აქეთგან დაიხარჯა: ფიცარის ქირა და გადატან-გადმოტანა — 2 მან., 50 კაპ. არგანი — 2 მან., თოკების ქირა — 1 მან., ... და სხვა წვრილმანი ხარჯი ... მოხელეებს მიეცა ... დაიხარჯა 9 მანათი და 45 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 36 მანათი, რომლითგანაც პირობისდაგვარად 18 მ. დამცემს გარდავეცით და დანარჩენი 18 მანათი გაეგზავნა ბ-ნ ჯინორიძეს ქ. ხარკოვში. ამისათვის გთხოვთ, დაბეჭდოთ საყოველთაოდ გაზ. „ივერიაში" ეს ანგარიში.

ჭიდაობის მოთავენი: თ... კალე... კე მესხი.

ქრისტ. ღარახვე...ძე.

„ივერია", 1886 წ. 15 ნოემბერი.

# ავტობუსიდან ტატამზე



— დნეპროპეტროვსკის ... ბაზები და სამეცადინო პირობები ვნახეთ, საქართველოში, მსგავს ბაზებზე ოცნება თუ შეიძლება, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ჭაბუკ ძიუდოისტთა მწვრთნელმა ოლეგ სებისკვერაძემ, რომელიც თავის კოლეგა ლევან პიგანიშვილთან ერთად ჩვენს ჭაბუკ ძიუდოისტებს ახლდა უკრაინაში, პრიშვაის სახელობის IV საერთაშორისო ტურნირზე (1974-75 და 1977-79 წლებში დაბადებულთა შორის). ტატამზე 36 გუნდის 400-ზე მეტი მოჭიდავე გამოვიდა. ასეთი დიდი ასპარეზობა ყოფილ საკავშირო ჩემპიონატებზეც არ მინახავს. ჩვენს გუნდში 19 ფალავანი იყო. აქეთ-იქით ავტობუსით ვიმგზავრეთ, ჩასვლისთანავე გავიდნენ ჩვენი მოჭიდავეები ტატამზე — იქნებ ამიტომაცაა მოკრძალებული შედეგი — ერთი პირველი, ერთი — მორე და ერთიც — მესამე ადგილი.

უფროს ასაკში ბრწყინვალედ იასარეზა აბესალომ გვარლიანმა (71 კგ), რომელმაც ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად იმარჯვა, ფინალში კი დსთ-ს პირველობაში გამარჯვებულ ხარკოველ იური დრამოს სძლია. უმცროს ასაკში, მძიმე წონაში ტყუპი ძმები ალეკო და იუზა ბოლქვაძეები გამოდიოდნენ. ალეკომ მეორე ადგილი დაიკავა. მესამე იყო იოსებ რობაქიძე (65 კგ).

# გდრ ანუ გერმანიის დოპინგ-რესპუბლიკა

ერთხელ, ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენს რბენაში მარიტა კოხს (გდრ) ჟურნალისტებმა ჰკითხეს:

**— რაში მდგომარეობს თქვენი თქვსმეტი ფენომენალური მსოფლიო რეკორდის საიდუმლოება?**

პასუხი ლაკონიური იყო:

— ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, ათას ერთი ღამის ზღაპარს ჰგავს.

არადა ბერლინის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა სხვებზე უკეთ იცოდა, რომ მისი, როგორც მძლეოსნის, ფანტასტიკური გამძლეობისა და სისწრაფის პირველწყაროს წარმოადგენდა ნახევრადგასაიდუმლოებული საწარმო „იენაფარმი", რომელიც მალულად ამზადებდა საკმაოდ ეფექტურ ანაბოლიურ სტეროიდს — ოლარტურინაბოლს.

მარიტა კოხი, ეს უკვე მერე გამჟღავნდა, დახმარებისთვის თურმე ხშირად მიმართავდა ამ დაწესებულებას. ზოგჯერ კი აღშფოთებასაც ვერ ფარავდა იმის გამო, რომ მისი მეტოქე, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი ბერბელ ვეკელი უფრო იოლად და, რაც მთავარია, დიდი რაოდენობით შოულობდა პრეპარატს (შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ვეკელს სასწაულმოქმედი სტეროიდით ამარაგებდა „იენაფარმის" ლაბორატორიაში მომუშავე საკუთარი ბიძა). ერთხელ კოხმა ლაბორატორიის დირექციაში უჩივლა კიდეც ვეკელის ბიძას.

როგორც ირკვევა, ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს გდრ-ის სპორტსმენებმა არაფერი იცოდნენ რას, როდის და რა რაოდენობით იღებდნენ, მტკნარი სიცრუე ყოფილა. პირიქით, ბევრი მძლეოსანი თვითონ აწარმოებდა დაკვირვებას თავის ორგანიზმზე და უმეტეს შემთხვევაში დოზის მომატებას ითხოვდა. ეს ფაქტი კოხის შემთხვევამაც დაადასტურა.

გფრ-ის ექსჩემპიონმა ბადროს ტყორცნაში ბრიგიტა ბერენდონკმა, ამჟამად ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სპორტული პედაგოგიკის წამყვანმა სპეციალისტმა და მისმა მეუღლემ, ბიოლოგმა ვერნერ ფრანკემ გაშიფრეს საიდუმლო დოკუმენტების მთელი დასტა, რომლებშიც მოხსენებული იყო დოპინგის მომხმარებელი ყველა აღმოსავლეთგერმანელი სპორტსმენის გვარი, რომელთა შორის ჭარბობდნენ მძლეოსნები. ბერენდონკმა თავის ახლახან გამოცემულ წიგნში ზუსტად ჩამოთვალა 260 მძლეოსნის გვარი, რომლებიც ანაბოლიური სტეროიდების პირველ და უმთავრეს მომხმარებლებად ითვლებოდნენ.

წამლის დოზირების მიხედვით ვეკელი, წიგნის ავტორს მერვე ადგილზე ჰყავს დაყენებული (1670 მილიგრამი წელიწადში), მარიტა კოხს კი, იმავე სიაში მეთორმეტე ადგილი უკავია (1460 მილიგრამი). აქედან, კოხის სისტემატური პროტესტები და უკმაყოფილება. შედარებისათვის შეგახსენებთ, რომ კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი, რომელსაც დოპინგის მიღებისთვის სეულის ოლიმპიადის შემდეგ დისკვალიფიკაცია მისცეს, წელიწადში 1500 მილიგრამ წამალს ხმარობდა.

გდრ-ის მედიკოსთა თვალთახედვის არეში იყო მოქცეული ყველა მძლეოსანი, რომლებსაც საერთაშორისო კლასის შედეგების ჩვენების მეტ-ნაკლები შანსი ჰქონდათ. ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის (1983) მზადების დღეებში აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების ფავორიტები 13 კვირის მანძილზე იღებდნენ სტეროიდებს. აი ზოგიერთი მათგანის მონაცემი: მარლის გიორი — 110 მილიგრამი, სილკე მელერი — 8,5, საბინე ბუში — 7,3. ასეთი გახლდათ ყოველდღიური რაციონი იმ გერმანელი „ვარსკვლავებისა", რომლებმაც ჰელსინკში უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს სხვადასხვა რაოდენობით. ზემოჩამოთვლილმა მძლეოსნებმა დოპინგის დოზებით მამაკაცებსაც კი გადააჭარბეს. მაგალითისათვის გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონის ფრანკ ემელბანის ყოველდღიური ულუფა მხოლოდ 5,1 მილიგრამს შეადგენდა, მსოფლიოს ჩემპიონი თომას შონლებე კი 7 მილიგრამს იღებდა. და კიდევ ერთი ფაქტი — 1984 წლის განმავლობაში თარჯმრბენმა კორნელია ოშკენატმა ორგანიზმში შეიყვანა 1480 მილიგრამი მამაკაცის ჰორმონი, სამჯერ მეტი ვიდრე მისმა მეუღლემ — დარბაზებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ანდრეასმა.

რამდენად დაუნდობლები იყვნენ თავიანთ საქმეში მედიკოსები, ნათლად ჩანს №61 კოდირებული დოსიედან. ამ დოკუმენტში დაფიქსირებულია პოპულარული მძლეოსნის ჰაიკე დრექსლერის გვარი, რომელსაც 17 წლის ასაკში უკვე დანიშნული ჰქონდა ორალტურინაბოლის ზეძლიერი დოზა — 935 მილიგრამი წელიწადში. მაშინ ახალგაზრდა გოგონა ორჯერ მეტ წამალს იღებდა, ვიდრე გოლიათური აგებულების მქონე ათჭიდელი მამაკაცი ტორსტენ ფოსი, სილკე მელერმა კი, რომელმაც თავი გამოიჩინა რომის 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ანაბოლიურ საშუალებებს 16 წლის ასაკიდან იღებდა.

ექიმები არად აგდებდნენ გოგონების ჯანმრთელობას მაშინაც კი, როცა დოპინგი შლიდა და ანადგურებდა ახალგაზრდა ორგანიზმს. 1984 წელს მედიკოსებმა სერიოზ... ...ში მიიტანეს" 17 წლის ლაიფციგელ მორბენალ კერსტინ ბერენდტზე. შედეგი, როგორც სავარაუდო იყო, მძიმე გამოდგა. სერიოზულად დაირღვა სპორტსმენის ღვიძლის ფუნქცია, თუმცა ამან ოდნავადაც არ შეაშფოთა კვლევითი ცენტრის პროფესორები. ექსპერიმენტის შეწყვეტას, მათ წამლის დოზის გაზრდა ამჯობინეს. საქმე ის გახლდათ, რომ კერსტინს საბრძოლო დავალება ჰქონდა მიცემული: მას უმოკლეს დროში უნდა ეჯობნა ამერიკელი ფლორენს გრიფიტ-ჯოინერისათვის. მაგრამ... მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, როცა დადგინდა, რომ გოგონას ორგანიზმი ნელ-ნელა მამაკაცის ფუნქციებს იძენდა.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ მხილებით დაშინებულმა მედიკოსებმა მთელი საიდუმლო დოკუმენტაცია ჯავშნიან სეიფებში გადამალეს. მაგრამ ეს სირაქლემას სიფრთხილეს ჰგავდა. სულ მალე ყველაფერი გამჟღავნდა. ახლა დადგენილ ფაქტად ითვლება, რომ გდრ-ის პარტიული და სახელმწიფო მეთაურები მძლეოსნობის შედეგებს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამ გზით სურდათ დაემტკიცებინათ სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურზე.

დოპინგით მოწამლულმა და გაუბედურებულმა მძლეოსნებმა დროებით თავშესაფარი გერმანიის გაერთიანებულ გუნდში ნახეს. ტოკიოს 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში 11 ასეთი ვარსკვლავი ასპარეზობდა: ჰაიკე დრექსლერი, ბარიერისტები საბინე ბუში და კორნელია ოშკეტი, 400 მეტრზე მორბენალი იენს კარლოვიტცი, სპრინტერი შტეფენ ბრიგმანი, მრავალჭიდელები კრისტიან შენკი და ჰაიკე ტიშლერი, სიგრძეზე მხტომელი ჰელგა რადტკე, ბადროს მტყორცნელები იურგენ შულტი და მარტინა ჰელმანი, შუბის მტყორცნელი პეტრა მაიერფელკე.

სტატისტიკის თანახმად აღმოსავლეთ გერმანიაში 592 რეგისტრირებული მძლეოსნობის მწვრთნელი იყო. მათგან 36 დღეს გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციაში მუშაობს. რა ბედი ეწევა მათ, კაცმა არ იცის, დადგენილია მხოლოდ, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მედიკამენტოზურ ექსპერიმენტებში. როგორც ხედავთ, ბრიგიტა ბერენდონკმა თავის გახმაურებულ წიგნში ტყუილად არ უწოდა გდრ-ს გერმანიის დოპინგ-რესპუბლიკა.

# საჭადრაკო თემაზე





**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

## პირველი ჯგუფი

**IX ტური, 29-30 აპრილი**

**I-X ადგილები**

„დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 4-1

„სამტრედია" (სამტრედია) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 3-2

„შევარდენი-1906" (თბილისი) — „იბერია" (ხაშური) 1-2

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დილა" (გორი) 2-0

„ბათუმი" (ბათუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 5-1

**XI-XIX ადგილები**

„სამგურალი" (წყალტუბო) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1-0

„ალაზანი" (გურჯაანი) — „მადნეული" (ჭიათურა) 3-1

„შუქურა" (ქობულეთი) — „კახეთი" (თელავი) 1-0

ამრიგად დასრულდა მეორე ეტაპი პირველი წრე. გთავაზობთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას:

**I-X ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 9 | 9 | 0 | 0 | 32-4 | 27 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 9 | 8 | 0 | 1 | 24-12 | 24 |
| „სამტრედია" (სამტრედია) | 9 | 5 | 1 | 3 | 13-13 | 16 |
| „იბერია" (ხაშური) | 9 | 3 | 2 | 4 | 10-18 | 11 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 12-9 | 11 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 8 | 3 | 0 | 5 | 11-21 | 9 |
| „დილა" (გორი) | 9 | 3 | 0 | 6 | 8-17 | 9 |
| „ბათუმი" (ბათუმი) | 8 | 2 | 2 | 4 | 12-11 | 8 |
| „შევარდენი-1906" (თბ.) | 9 | 1 | 2 | 6 | 7-13 | 5 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 8 | 1 | 1 | 6 | 6-17 | 4 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის ორი გამოტოვებული მატჩის შედეგი „მარგვეთი" — „ბათუმი" და „გურია" — „ტორპედო".

**XI-XIX ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 8 | 7 | 0 | 1 | 29-4 | 21 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 8 | 5 | 0 | 3 | 13-8 | 15 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 8 | 5 | 0 | 3 | 12-14 | 15 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 8 | 4 | 2 | 2 | 11-12 | 14 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| „კახეთი" (თელავი) | 8 | 3 | 0 | 5 | 16-14 | 9 |
| „მადნეული" (ჭიათურა) | 8 | 3 | 0 | 5 | 13-24 | 9 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 8 | 2 | 1 | 5 | 6-16 | 7 |
| [illegible] (თბილისი) | 7 | [illegible] | 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები**

# თასი — „არსენალს"

4 მაისს კოპენჰაგენში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის „არსენალი" და იტალიის „პარმა".

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ინგლისელ ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით 1-0.

აღსანიშნავია, რომ „არსენალი", ლონდონის ეს განთქმული კლუბი, პირველად დაეუფლა თასების მფლობელთა თასს, ხოლო „პარმა" შარშან გახლდათ ამ პრიზის გათამაშებაში გამარჯვებული.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში ათენში ერთმანეთს შეხვდებიან ესპანეთის „ბარსელონა" და იტალიის „მილანი", ხოლო 11 მაისს უეფას თასზე იტალიის „ინტერი" მილანის „სან-სიროზე" მიიღებს ავსტრიის „კაზინოს". ამ გუნდების პირველი შეხვედრა ვენაში მოიგო „ინტერმა" — 1-0.

# ფინიში — ვინ ვის!

დამთავრდა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშება, პრიზი მოიგო ლონდონის „არსენალმა". წინაა ჩემპიონთა ლიგის ფინალი და უეფას თასის საპასუხო მატჩი. გთავაზობთ სტატისტიკურ წერილს, სადაც ლაპარაკია იმ გუნდებზე, რომელთაც ყველაზე მეტი მიღწევები ჰქონიათ ამ შეჯიბრებებზე.

სხვებზე გაცილებით უფრო მეტი წარმატება ამ ტურნირში მადრიდის „რეალმა" იზეიმა. ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონმა ცამეტჯერ მიიღო მონაწილეობა ამ სამივე თასის ფინალურ მატჩებში: ცხრაჯერ — ჩემპიონთა თასზე, ორჯერ — თასების მფლობელთა თასზე და ამდენივეჯერ — უეფას თასზე. ამ 13 შეხვედრიდან „რეალმა" მოიგო 8 (ექვსჯერ დაეუფლა ჩემპიონთა თასს და ორჯერ — უეფას თასს. თასების მფლობელთა თასზე კი მადრიდელებმა ორივე ფინალური მატჩი წააგეს).

თუ ვინმე ევროპული ტურნირების „მუდმივ ცხრილში" მადრიდელებს ერთგვარ კონკურენციას უწევს, ეს „ბარსელონაზე" ითქმის. კატალონელებმა სამივე თასის ფინალურ მატჩებში 12-ჯერ ითამაშეს: სამჯერ — ჩემპიონთა თასზე, ხუთჯერ — თასების მფლობელთა თასზე, ოთხჯერ — უეფას თასზე. როგორი „მოსავალი" აიღეს? არცთუ ურიგო: ამ გუნდმა 7 ფინალურ მატჩში გაიმარჯვა, ჩემპიონთა თასი ერთხელ მოიპოვა, ხოლო თასების მფლობელთა და უეფას თასები — სამ-სამჯერ.

ევროპული მიღწევების თვალსაზრისით მესამე ადგილი „მილანს" ეკუთვნის. მან 9 ფინალურ მატჩში ითამაშა: ექვსჯერ — ჩემპიონთა თასზე, სამჯერ — თასების მფლობელთა თასზე, უეფას თასის ფინალში კი ჯერ არ გასულა. იტალიის მრავალგზის ჩემპიონმა ექვსი გამარჯვება იზეიმა: ჩემპიონთა თასი ოთხჯერ მოიპოვა, თასების მფლობელთა თასი კი ორჯერ.

„ბებერ ქალბატონად" წოდებულ ტურინის „იუვენტუსსაც" თვალსაჩინო მიღწევები აქვს. იგი ცხრაჯერ გავიდა ევროპული თასების ფინალში, სამჯერ — ჩემპიონთა თასზე, ერთხელ — თასების მფლობელთა თასზე, ხუთჯერ — უეფას თასზე. ამ 9 ფინალურ მატჩს 5 გამარჯვება მოჰყვა: ერთხელ ჩემპიონთა თასზე, ერთხელ — თასების მფლობელთა თასზე, სამჯერ — უეფას თასზე. წლეულს მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა უეფას თასზე ორივე მეოთხედფინალური [illegible] ნაკლები რეპუტაციის მქონე „კალიარისთან".

ყველაზე უკეთესი საერთაშორისო რეპუტაცია ინგლისის გუნდებს შორის „ლივერპულს" აქვს. იგი რვაჯერ იყო ევროპული ტურნირების ფინალში (5-ჯერ ჩემპიონთა, ერთხელ — თასების მფლობელთა და ორჯერ — უეფას თასზე). „ლივერპულმა" აქედან 6 გამარჯვება იზეიმა, ოთხჯერ ჩემპიონთა თასზე და ორჯერ უეფას თასზე. თუმცა, ყოველივე ეს დიდი ხნის წინათ იყო.;

ლისაბონის „ბენფიკას" დიდებაც წარსულს ეკუთვნის, როდესაც აქ ბრწყინავდნენ „მოზამბიკელი ჯიქი" ეუსებიო და მისი პარტნიორები: „ბენფიკა" რვაჯერ გავიდა ევროპული ტურნირების ფინალში, აქედან შვიდჯერ ჩემპიონთა თასზე (მოიგო ორჯერ — 1961 და 1962 წლებში), დანარჩენი მატჩები კი წააგო. თასების მფლობელთა თასის ფინალში ლისაბონელებს არასოდეს უთამაშიათ, უეფას თასის ფინალში კი მხოლოდ ერთხელ გავიდნენ.

ამსტერდამის „აიაქსს" ორჯერ ჰქონდა დიდი აღმავლობის პერიოდი და ასეთ დროს იგი ევროპული თასების დაუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი ხდებოდა. სულ ამსტერდამელებმა [illegible] ოთხჯერ — ჩემპიონთა (მოიგეს 3), — თასების მფლობელთა (მოიგეს 1) და ერთხელ (მოიგეს ეს მატჩი) უეფას თასზე.

ასევე 7 ფინალური მატჩის მონაწილეა ბრიუსელის „ანდერლეხტი", ოღონდ აქ დიდი განსხვავებაა. ბელგიელებს არასოდეს მიუღწევიათ ჩემპიონთა თასის ფინალამდე. თასების მფლობელთა 4 ფინალური მატჩიდან მოიგეს 2, უეფას თასის 3 ფინალური მატჩიდან — ერთი.

მიუნხენის „ბაიერნი", როდესაც მის რიგებს ბეკენბაუერი, მიულერი და მაიერი ამშვენებდა, გასაგებია, დიდ წარმატებებს აღწევდა. გუნდმა ევროპულ თასებზე 6 ფინალურ მატჩში ითამაშა, აქედან 5-ჯერ ჩემპიონთა თასზე, სადაც 3-ჯერ გაიმარჯვა, ერთხელ კი თასების მფლობელთა თასზე, რომელიც მოიგო კიდეც. რაც შეეხება უეფას თასის ფინალს, გერმანელებს აქ არასოდეს უთამაშიათ.

ერთ დროს დიდად პოპულარული მილანის „ინტერი" ფინალში ხუთჯერ გავიდა: 4-ჯერ ჩემპიონთა თასზე და ერთხელ — უეფას თასზე. ამ ხუთი მატჩიდან მოიგო სამი — ორჯერ ჩემპიონთა თასზე გაიმარჯვა, ერთხელ კი უეფას თასზე.

**გივი თორელი**

---

## ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი

# ნიგერია

ნიგერიელმა ფეხბურთელებმა პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება და ამის მიუხედავად ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ გუნდი ახლა არა თუ უძლიერესია აფრიკის კონტინენტზე, არამედ შეუძლია აშშ-ში დიდი სიურპრიზიც შემოგვთავაზოს. ეს უზარმაზარი ქვეყანა, სადაც მოსახლეობამ 110 მილიონს გადააჭარბა, ახლა ფეხბურთით ცხოვრობს. ჰოლანდიელი მწვრთნელი კლემენს ვესტერჰოფი (იგი ნიგერიაში 1990 წლიდან მუშაობს), რომელმაც შარშან ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოუტანა. წლეულს კი აფრიკის ქვეყნების თასი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და მომავალ ჩემპიონატში მორიგი წარმატების იმედიც აქვს. ვესტერჰოფს მით უფრო აფასებენ, რომ მანამდე ნიგერიელებს რაიმე განსაკუთრებული მიღწევა თითქმის არა ჰქონიათ. 1980 წელს, მართალია, აფრიკის ჩემპიონები გახდნენ, 1976 და 1978 წლებში კი ამავე შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გავიდნენ, იყო რამდენიმე სხვა წარმატებაც აფრიკის ჩემპიონებისა და თასების მფლობელთა თასზეც, მაგრამ ნიგერიელებს ბოლო წლებამდე უმნიშვნელო კონტაქტები ჰქონდათ ევროპის წამყვან საფეხბურთო ფედერაციებთან. [illegible] მკვეთრად შეიცვალა, ნიგერიაში ჩადიან ფიფას ინსტრუქტორები, ფორმდება ხელშეკრულებები ცალკეულ ევროპულ მწვრთნელებთან, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელებმა ევროპის ცნობილ კლუბებში გადაინაცვლეს და გარკვეული პრესტიჟიც მოიპოვეს. ასე, მაგალითად, შუახაზის მოთამაშე ჯორჯ ფინიდი ამსტერდამის „აიაქსში" გამოდის, სამსონ სიასია, ასევე ნახევარმცველი, საფრანგეთის პირველი დივიზიონის „ნანტშია", ხოლო შემტევი ნახევარმცველი ჯეი ჯეი ოკოჩა ბუნდესლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბ „აინტრახტშია" (მაინის ფრანკფურტი).

რამდენიმე ნიგერიელი პორტუგალიაშიც გამოდის, „ბოავიშტასა" და სეტუბალის „ვიტორიაში". ნიგერიელების სტიქია შეტევაა, და აი საფრანგეთის ცნობილ „მონაკოში" კარგი ავტორიტეტით სარგებლობს 20 წლის ვიქტორ იკპება. აქ იგი განთქმული გერმანელი ოსტატის კლინსმანისა და ცნობილი ბელგიელ-იტალიელი დირიჟორის შიფოს გვერდით თამაშობს და, როგორც თვითონ ამბობს, ამაზე უკეთეს სკოლას ვერც ნახავს. [illegible] გორც ცნობილია, „მონაკოს", ისევე, [illegible] გორც ნებისმიერ ფრანგულ კლუბს, [illegible] ნდორზე მხოლოდ სამი უცხოელის გამოყვანის ნება აქვს, იკპებას ხშირად სათადარიგოთა სკამზე უხდება ყოფნა, მაგრამ, როცა მინდორზეა, ძალზე სახიფათო [illegible] ექსპერტები ფიქრობენ, რომ აშშ-ში მას დაწყებული უკვე არ მოუწევს. მის გარდა, თავდასხმაში გამოსვლის უდავო კანდიდატები არიან ეკოკუ (ინგლისის „ნორვიჩ სიტიდან") და ამოკაში (ბელგიის „ბრიუგე").

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ნიგერიის ნაკრები ამჟამად აშკარად უფრო ძლიერია, ვიდრე კამერუნელთა გუნდი, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე. მას სახელმწიფო ორგანოებისგან სათანადო დახმარებაც აქვს, გამართა საკონტროლო მატჩები და, საერთოდ, მზადება, თითქოს, საკმაოდ სოლიდურად მიმდინარეობს.

რომელი ადგილის იმედი შეიძლება ჰქონდეთ ნიგერიელებს? „დ" ჯგუფში მათთან ერთად გამოდიან არგენტინელები, ბერძნები და ბულგარელები. დებიუტანტები არც ერთ მათგანს არ უფრთხიან და ფიქრობენ, რომ ბრძოლა მერვედფინალში უნდა გააგრძელონ.

# კამერუნი

კამერუნელებს 1982 წლამდე საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე მიღწევა არა ჰქონიათ, აფრიკის მასშტაბით კი ხუთჯერ მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონთა თასი და სამჯერ გაიმარჯვეს აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. რა თქმა უნდა, ეს წარმატებები მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის მონაწილეთათვის ესპანეთში, სადაც კამერუნელებს უნდა ეთამაშათ, საერთოდ არაფერს ნიშნავდა, მაგრამ აუტსაიდერის როლი ფეხბურთში ხომ ხშირად ძალიან მომგებიანია. ცნობილმა ფრანგმა მწვრთნელმა ჟან ვერსანმა აფრიკელები კარგად მოამზადა. ერთმა ჟურნალისტმა დაწერა კიდეც: „ისინი ჰერკულესივით ძლიერები და ქურციკივით ფეხმარდები არიან". შედეგები მართლაც განსაცვიფრებელი გამოდგა: 3 შეხვედრიდან 3 ფრე — პერუელებთან და პოლონელებთან 0-0, მსოფლიოს მომავალ ჩემპიონებთან — იტალიელებთან 1-1. გათამაშების შემდგომ ეტაპზე პოლონელები და იტალიელები გავიდნენ, კამერუნელებმა კი დატოვეს შეჯიბრება... დაუმარცხებლებმა. ასეთმა შედეგმა კამერუნში დიდი აღტაცება გამოიწვია: ნკონო და მილა, კუნდე და ონანა, ყველა დანარჩენი [illegible]

1990 [illegible] კამერუნელები ერთხელ კიდევ გავ[illegible] მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და მათი გამოსვლა ყველას კარგად ახსოვს: წარმატება რუმინელებთან (2-1), ფრე (1-1) მსოფლიო ჩემპიონებთან — არგენტინელებთან, ძლიერ საეჭვო წაგება (0-4) საბჭოთა ნაკრებთან, შემდეგ — მოგება მერვედფინალში (2-1), კოლუმბიელებთან, მეოთხედფინალის ფრიად დრამატული მატჩი (2-3) ინგლისის ნაკრებთან, სადაც კამერუნელები ძალზე ახლოს იყვნენ მოგებასთან და მხოლოდ დამატებით დროში განიცადეს მარცხი.

მაგრამ როგორ არის საქმე ამჟამად? კამერუნელებმა შესარჩევი თამაშების წინ მიიწვიეს ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ანრი მიშელი, რომელიც უწინ საფრანგეთის ნაკრებს ედგა სათავეში. მიშელმა წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი: ზაირის (0-0, 2-1), სვაზილენდის (5-0, 0-0), გვინეის (3-1, 1-0) და ზიმბაბვეს (3-1, 0-1) დამარცხების შემდეგ გუნდმა ფინალის საგზური მოიპოვა: წლეულს რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა, მთავარი მნიშვნელობა კი ათენის საერთაშორისო ტურნირს ენიჭება. საბერძნეთის, ინგლისისა და ჩრ. ირლანდიის ნაკრებებთან ბრძოლაში. ამის შემდეგ ანრი მი[illegible]

ფრანგმა [illegible]მა სამართლიანად მიიჩნია, რომ 1990 წლის ჩემპიონატში მონაწილე ვეტერანები მას მაინც დამაინც ვერ დაეხმარებიან. ზოგიერთმა მათგანმა მაინც შეინარჩუნა პოზიციები (მეკარე ბელი, ცენტრალური მცველი მასინგი, თავდამსხმელები ანდრე კანაბიიკი და ფრანსუა ომამ-ბიიკი). კამერუნელი ფეხბურთელები უმთავრესად საფრანგეთის პირველ დივიზიონში, კერძოდ, „მეცში", „ჰავრში", „ანჟეში" და სხვა კლუბებში გამოდიან, რომელთა მწვრთნელებთან ანრი მიშელს სისტემატური კონტაქტები აქვს და საიმედო ცნობებსაც იღებს.

რაც შეეხება კამერუნის ფეხბურთის სიმბოლოს, 43 წლის დიდად პოპულარულ მილერს (ანუ როჟე მილას), მან დიდი სურვილი გამოთქვა ითამაშოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ როჟე მილამ ხომ 1990 წლის შემდეგ დაანება თავი ოფიციალურად ფეხბურთს და თუ სადმე თამაშობდა, მხოლოდ ვეტერანთა ან ამხანაგურ მატჩებში. 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატში მის მინდორზე გამოშვებას არავინ აპირებდა, სანამ ქვეყნის პრეზიდენტმა მრისხანე განკარგულება არ გასცა. ახლა ვნახოთ!

**გივი გამრეკელი**

---

### გრანდიოზული ჩემპიონატი, გრანდიოზული მზადება

აშშ-ს პრესა უდიდეს ყურადღებას უთმობს მსოფლიოს მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატს, რომელსაც სულ მალე უმასპინძლებს ეს ქვეყანა. ამერიკელებს უყვართ ყველაფერი გრანდიოზული და ამით თავის გამოჩენა, მათი აზრით ჩემპიონატი სწორედ ასეთი ღონისძიებაა და საქმე მხოლოდ ფეხბურთის მატჩებში როდია. ჩემპიონატს გრანდიოზულობას ანიჭებს მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებანი, სადაც ერთმანეთს შეეჯიბრებიან უდიდესი ფირმები და კამპანიები. მასპინძლებს მიაჩნიათ, რომ ეს იქნება წლევანდელი ყველაზე მნიშვნელოვანი, ექსტრაორდინარული ასპარეზობა. გაიყიდება 3,6 მილიონი ბილეთი, ყველაზე მეტი, რაც ადრინდელ ჩემპიონატებზე ოდესმე გაყიდულა. ფინალური მატჩი და ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალი გაიმართება სტადიონზე, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რათა თამაშები ობიექტურად წარიმართოს, „ფეხბურთელებისგან ჩვენ მოველით მაღალ პასუხისმგებლობას და ერთგულებას ფეხბურთის სამსახურში, მაყურებელს არ უნდა გავუცრუოთ იმედები". — ამბობს ფიფას პრეზიდენტი ჟ. ავალანჟი.

მოამზადა **ხათუნა აფაქიძემ.**

იან ფეკეტე

# „საფეხბურთო დეკამერონი“

## გულშემატკივარს მოსწონს „კონცერტი“

მაყურებელს უყვარს ოსტატ ფეხბურთელთა შეხვედრებში გატანილი ბევრი გოლი, უხვგოლიანი მატჩების რიცხვი კი, იცოცხლეთ, დიდია.

ჩეხეთ-სლოვაკეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, აქ თავისებური რეკორდი 1951 წელს აღინიშნა: გოტვალდოვში „სვიტმა“ ანგარიშით 13-0 სძლია კოშიცეს „დინამოს“ და კურიოზული ის იყო, რომ ამ მატჩის დამთავრების შემდეგაც კი გოტვალდოვის გუნდს გათამაშების ცხრილში 23 ქულით ბოლოდან მესამე ადგილი ეკავა, თუმცა ბურთების დაღებითი შეფარდება გაუხდა — 62-50. რაც შეეხება დამარცხებულ გუნდს, იგი... ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, უფრო სწორად, მესამე ადგილზე იმყოფებოდა.

ამ 13-0-ის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის პირველობებზე აღნიშნულია სამი ანგარიში 19-?. ასე მოუგო პრაღის „დუკლამ“ ტრნავის „სპარტაკს“ 1960-1961 წლების ჩემპიონატში, კოშიცეს „ლოკომოტივმა“ — „იაბლონეცს“ (1975-1976) და ოსტრავის „ბანიკმა“ — პრადეც-კრალოვეს „სპარტაკს“ (1956). ნამდვილი გოლების წვიმით აღინიშნა ბრატისლავის „ინტერისა“ და პრაღის „სპარტას“ შეხვედრა 1974-1975 წლების ჩემპიონატში. გაიმარჯვა „ინტერმა“-7-4, რომლის თავდამსხმელმა პეტრაშმა 5 გოლი გაიტანა. 1984 წლის მაისში ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში კიდევ ერთი იშვიათი ანგარიში აღინიშნა: კოშიცეს „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 8-0 სძლია ტეპლიცეს „უნიონს“.

არაერთი მატჩი დამთავრებულა დიდი ანგარიშით სტუმრების სასარგებლოდაც. ასე მაგალითად, 1946-1947 წლების ჩემპიონატში პრაღის „სლავიამ“ ანგარიშით 10-1 სძლია „ლიბნის“, 1967-1968 წლების ჩემპიონატში ტრნავის „სპარტაკმა“ პლზენში მოუგო „შკოდას“ — 7-0, პრაღის „დუკლამ“ 1960-1961 წლების პირველობაზე ანგარიშით 8-2 სძლია „ტრენჩინს“, ხოლო პრაღის „სპარტამ“ (1947-1948) — „ქილინას“ 7-2.

საკმაოდ თავისებური შედეგით დასრულდა ბრატისლავის „სლოვანის“ რამდენიმე მატჩი. 1967-1968 წლების ჩემპიონატში ამ გუნდმა პლზენში ფრედ — 6-6 ითამაშა „შკოდასთან“, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პრაღაში წააგო „სლავიასთან“ — 0-8, 1977 წელს პრაღაში დამარცხდა „დუკლასთან“ — 1-8, 1984 წელს გუნდმა ისევ გაიხსენა წარსული: „ბოჰემიანსთან“ (პრაღა) წააგო ანგარიშით 0-5, „ოლომოუცთან“ 1-6, პრაღის „სლავიასთან“ 0-6, პრაღის „დუკლასთან“ 1-7.

1980-1981 წლების ჩემპიონატშიც რამდენიმე უხვგოლიანი მატჩი იყო. „ბრ... ...“ „ნიტრას“ — 6-0, „ჩები...“ ...ოვს“ — 6-3, პრაღის „ბოჰემიანსმა“ ...რიშით 9-1 სძლია ბრატისლავის „ინტე...“ ამ მატჩს ბრატისლავის გაზეთმა „პრავდამ“ „თავდამსხმელთა კონცერტი“ უწოდა.

რახან წაგება წაგება იყოსო, ეტყობა, ერთხელ ასე გადაწყვიტეს ბანსკა-ბისტრიცას „დუკლას“ ფეხბურთელებმა. პრაღის „ბოჰემიანსთან“ ისინი დამარცხდნენ ანგარიშით 0-4, პრაღის „დუკლასთან“ — 1-6, პრაღის „სლავიასთან“ — 0-7, პრაღის „სპარტასთან“ — 0-5. შეიძლება ამ გუნდის წარუმატებელი სერია ბრატისლავის „სლოვანისას“ შევადაროთ, ოღონდ უნდა ვთქვათ, რომ ამ წლებისთვის „სლოვანი“ სლოვაკიის გუნდებს შორის უსუსტესად ითვლებოდა, ბანსკა-ბისტრიცას „დუკლა“ კი, პირიქით, უძლიერესად. ამის მიუხედავად, პრაღის გუნდებთან მათ თითქმის ერთნაირი შედეგები ჰქონდათ.

ამგვარი შედეგები, რა თქმა უნდა, შეიძლება ევროპის ქვეყნების სხვა ჩემპიონატებიდანაც მოვიყვანოთ. 1984-1985 წლების პორტუგალიის ჩემპიონატში „პორტუმ“ ანგარიშით 9-1 სძლია „ვიშეს“, ამავე წელს, ოღონდ ბელგიის ლიგაში, ჩემპიონატის დებიუტანტმა ბრიუსელის „რესინგმა“ სასტიკი მარცხი — 2-9 იგემა განთქმულ „ანდერლეხტთან“. ამავე ჩემპიონატის ბოლოსწინა მე-16 ტურში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ანდერლეხტი“ და „ვარეგემი“, წყდებოდა I-II ადგილების ბედი. „ანდერლეხტმა“ დაამტკიცა თავისი უპირატესობა — 8-2.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თასის ერთ-ერთი მატჩი გელზენკირხენის „შალკე 04“-სა და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის დამთავრდა ანგარიშით 6-6, რომელიც, ალბათ, ფეხბურთს კი არა, ჰოკეის უფრო შეეფერებოდა. საჭირო შეიქნა 11-მეტრიანი დარტყმების სერიის დანიშვნა, რომელმაც წარმატება „ბაიერნს“ მოუტანა. 3 გოლი ამ მატჩში 18 წლის ოლაფ თონმა გაიტანა, რომლის შესახებაც „ბაიერნის“ მწვრთნელმა უდო ლატეკმა თქვა: „იგი ისე გაუქცეოდა ხოლმე ჩვენს მცველებს, როგორც ფეხმარდი კურდღელი მეძებრებს და როგორც დანა კარაქს, ისე „სჭრიდა“ ჩვენი დაცვის ხაზს“.

ნამდვილი კონცერტი მოაწყეს თავდამსხმელებმა ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელის ხრისტო ბონევის გამოსათხოვარ მატჩში. იგი პლოვდივში გაიმართა 1984 წელს, თამაშს 50 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რომლებიც გატაცებით ადევნებდნენ თვალს ბულგარეთისა და ევროპის ვეტერანთა ნაკრებების ამ ასპარეზობას. ევროპის ნაკრებში გამოდიოდნენ ისეთი პოპულარული ოსტატები, როგორც ბობი მური (ინგლისი), ფერენც ბენე (უნგრეთი), იან ტომაშევსკი (პოლონეთი), ვოლფგანგ ოვერატი (გფრ), კაროლ დობიაში (ჩეხოსლოვაკია) და სხვები. ბონევმა ერთი ტაიმი ბულგარეთის ნაკრებში ითამაშა, ხოლო მეორე, პირიქით, — ევროპის ნაკრებში. ევროპის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 9-6, თუმცა ერთ მომენტში წინ იყო 7-0.

1982-1983 წლების სეზონში ბუნდესლიგაში ფრიად უცნაური შედეგი აღინიშნა დორტმუნდის „ბორუსიამ“ ანგარიშით 11-1 სძლია ბილეფელდის „არმინიას“. საინტერესოა ის, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში იყო მხოლოდ 1-1. მომდევნო სეზონში მიონჰენგლადბახის „ბორუსიამ“ ანგარიშით 10-0 მოუგო ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“. მიონჰენგლადბახის „ბორუსიას“ სხვადასხვა დროს რამდენიმე მსგავსი ...ღწევაც ჰქონდა: დორტმუნდის „ბორუსიას“ მოუგო 12-0, „შალკე-04“-ს — 11-0 და „ნოინკირხენს“ 10-0.

ჩვენ უხვგოლიან მატჩებს ვითვლით, ოღონდ ისიც კარგად ცნობილია, რომ გაცილებით უფრო მეტი გუნდი თავისებურ „დიეტას იცავდა“, იცავდა და მაყურებელი ...ეთხოვებოდა.

...ლისურ ფეხბურთში მოთამაშეები ...ენებს ...ერენ, ...ასთან ... „10“ ითვლება. ასეთ შეფასებას მწვრთნელები ფეხბურთელებს უაღრესად იშვიათად აძლევენ, თუმცა იყო შემთხვევაც, როცა გუნდის ... მოთამაშემ „ათიანი“ მიიღო. ეს მოხდა 1978 წელს, როცა „ლივერპულმა“ ანგარიშით 7-0 სძლია ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 4, 6, 8.

სლოვაკურიდან თარგმ. ...
ზიად გამრეკელ...

## სოსო ჯანაშია



მხოლოდ 38 წელიწადი იცხოვრა ამქვეყნად, იცხოვრა კაცურად, ნამუსიანად, მოყვასის სიყვარულით, სასიკეთო საქმეების კეთებით. სპორტმა, რომელსაც იგი ყმაწვილკაცობიდან დაუმეგობრდა, ბევრი რამ შესძინა ისეთი, რამაც შემდეგ სრულად წარმოაჩინა მისი ვაჟკაცური ბუნება, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების საუკეთესო თვისებები.

1968-69 წლებში ს. ჯანაშია საქართველოს იუნიორ კალათბურთელთა ნაკრებში თამაშობდა, აქედან გავიდა დიდ სარბიელზე — გახდა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში. გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ მისი თამაში თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში (1971-75 წ.წ.), იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

თბილისელმა ჭაბუკმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და მარნეულის საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა მთავარ ტექნოლოგად. მერე, ხრესილის საკონსერვი ქარხნის გენერალურ დირექტორად გადავიდა. მის სახელთანაა დაკავშირებული თურქეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმოს შექმნა, რომლის გენერალურ დირექტორადაც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა.

შესანიშნავი სპორტსმენის, უნარიანი ხელმძღვანელის, უაღრესად თბილი და სამაგალითო მეგობრის ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

მეგობრები



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
ა. წერეთლის გამზირი, №2.
14 მაისი
ფეხბურთი
საქართველოს 1993-1994 წლების ჩემპიონატის II ეტაპი
I ჯგუფი, I-X ადგილები
„დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი)
დასაწყისი 17 საათზე
ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში თამაშის დღეს.

● გამოვლინდნენ ინგლისის თასის გათამაშების ფინალისტები. ქვეყნის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ განმეორებით მატჩში (პირველი 1-1) სძლია „ოლდჰემ ათლეტიკოს“ — 4-1 და 14 მაისს ფინალში შეხვდება „ჩელსის“. ამ მატჩის ტელერეპორტაჟი „ოსტანკინოს“ დაგეგმილი აქვს 0 საათსა და 30 წუთიდან.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით — ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ტ. ჯაშიაშვილი, მ. წოწორია.

## ვასილ (ვასო) მუჯირიშვილი



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მოზარდ თაობათა გულისხმიერი აღმზრდელი ვასილ მუჯირიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მოზარდთა და ბავშვთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის ნაყოფიერი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ უთქმელი, მუდამ საქმიანად მოფუსფუსე კაცის სახელთან. პედაგოგიურ ასპარეზზე დაღლილმა, ნაჯაფ კაცმა პენსიაზე გასვლის შემდეგ ახალი ენერგიით მოჰკიდა ხელი რესპუბლიკაში პირველი საცხენოსნო სპორტსკოლის გზის გაკვალვას — შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს სპორტულ და აღმზრდელობით მუშაობას.

1938 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (ამაყობდა — მთელი დმანისის რაიონიდან ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ვიყავიო). 1941-45 წლები II მსოფლიო ომის ფრონტზე გაატარა, შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს მიაშურა, 1949 წელს კი გომარეთის სკოლას დაუბრუნდა ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. 1955-1982 წლებში კი ამ სკოლის დირექტორი იყო. ამ კაცის ასპარეზი მხოლოდ სკოლით არ შემოიფარგლებოდა. როგორც განათლებულ ისტორიკოსს ნაყოფიერად უმუშავია დმანისის რაიონში არქეოლოგიურ, სპელეოლოგიურ თუ სხვა ექსპედიციებთან, მონაწილეობდა კულტურის ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებში.

1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ვ. მუჯირიშვილი საცხენოსნო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო. დიდია მისი დამსახურება საწვრთნელ-სასწავლო პროცესის სრულყოფაში, პედაგოგიურად გამართული მეთოდების შემუშავებაში, შეჯიბრებათა ორგანიზებაში, ქართული ტერმინოლოგიის დახვეწის საქმეში. ბოლო წლებში ასევე უანგაროდ თანამშრომლობდა რაიტთერაპიის და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრ „მუსტანგში“. ყველგან თან ახლდა სკოლის ნაკრებს, ამ დარბაისელი, თავმდაბალი, მაგრამ უაღრესად პრინციპული და სამართლიანი კაცის გვერდით ყოფნა ამხნევებდა ყმაწვილებს, ობიექტურობას მატებდა მსაჯთა კოლეგიას, მეგობრულად, საერთო ინტერესების შეგნებით განაწყობდა მეტოქე გუნდების სპორტსმენებსა და მწვრთნელებს.

ყველანი, ვისაც კი კავშირი აქვს ქართველ საცხენოსნო სპორტთან, სიყვარულით მოიგონებენ ვასო მუჯირიშვილის სახელს.

საქართველოს რესპუბლიკის ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია;
თბილისის მოზარდთა და ბავშვთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლა;
რაიტთერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.

---

...ქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ... რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, მოსახლეობის ჯანსაღები... და სპორტის ხელშემწყობი ფონდის ვიცე-პრეზიდენტის
ნუგზარ ენდელაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი წევრის
ნუგზარ ენდელაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

ტრაგიკულად დამთავრდა მსუბუქი წონის მოკრივეთა მატჩი ინგლისის ჩემპიონის ტიტულისათვის, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ბრედლი სტოუნსი და რიჩი ვენტონი. უფრო სწორად ტრაგიკული გამოდგა ამ ორთაბრძოლის გაგრძელება, თორემ თავად შეხვედრა შეწყდა მეათე რაუნდში ვენტონის აშკარა უპირატესობის გამო და მოკრივეები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს.

სტოუნსმა მიიღო შხაპი, დაემშვიდობა თავის მენეჯერს, მწვრთნელს და გზას გაუყვა შინისკენ, მაგრამ ქუჩაში ცუდად გახდა და გონება დაკარგა. სასწრაფო დახმარების მანქანამ მოკრივე ჰოსპიტალში მიიყვანა, მაგრამ ექიმებმა დაზარალებულს დახმარება ვერ აღმოუჩინეს. სტოუნსი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ეს ამბავი რომ რიჩი ვენტონმა შეიტყო, საჯაროდ განაცხადა — კრივს თავს ვანებებო. თავისი მოწაფის გადაწყვეტილება დაადასტურა მწვრთნელმა დევიდ ბრაუნსონმაც. ამავე დროს გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ ვენტონს მომავალი წინ ჰქონდა.

კურიოზული შემთხვევა მოხდა ამ დღეებში რომში. პროფესიონალ ველოსიპედისტთა ერთდღიანი წრიული რბოლა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო 29 წლის დანიელმა როლფ სორენსენმა. ამ წარმატებით გახარებულმა დანიელმა გულშემატკივარმა გადაწყვიტა გამარჯვება მიელოცა თანამემამულისათვის, სირბილით გადაკვეთა ქუჩა, თავი ვერ შეიმაგრა, დაეჯახა ველოსიპედისტს და... თვითონ ტვინის შერყევა მიიღო, როლფ სორენსენს კი ბეჭი ამოუგდო.

როგორც ხედავთ, ჯანმრთელობას ყოველ მხრივ გაფრთხილება სჭირდება...

---

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ახლო წარსულში რესპუბლიკაში სპორტული მოძრაობის შესანიშნავი ორგანიზატორის, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის
ნუგზარ ენდელაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რესპუბლიკის ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია, თბილისის მოზარდთა და ბავშვთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლა, რაიტთერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა განათლების სამინისტროს მოზარდთა და ბავშვთა რესპუბლიკური საცხენოსნო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ღვაწლმოსილი აღმზრდელი
ვასილ (ვასო) მუჯირიშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

## სპორტული ტელეეკრანი

### „ოსტანკინო“

... მაისი. 12.00. მ... ... ...ბურთი. 21.55. ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი.

... მაისი. 10.30. „სპორტლოტოს“ ტ...ქი. 21.45. სპორტული უიქ-ენდი. 21.5... ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ტრანსლაცია იტალიიდან.

... მაისი. 18.05. „გოლი“. ფიფას საფეხბურთო ვიქტორინა. 23.00. სპორტული ...ზეუმი მოსკოვში.

10 მაისი. 22.00. ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი).

### „...რუსია“

... მაისი. 14.20. დიდი ჰოკეი. 16.25. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.50. სპორტული კარუსელი.

... მაისი. 23.50. სპორტული კარუსელი.

... მაისი. 23.55. ცხენოსნობა. „კენტუკი ...ერბი“.

10 მაისი. 22.25. ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ურალმაში“ (ეკატერინბურგი).

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ...ბეჭდა გამომცემლობა „...ობლოში“